

# საქართველოს კანონი

## შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ

(07.05.2003 N 2145)

ეს კანონი ადგენს შეიარაღების, სამხედრო დანიშნულების ტექნიკის, ნედლეულის, მასალების, მოწყობილობების, ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და მათ წარმოება-გამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურების საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელების საფუძვლებსა და წესს საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესების შესაბამისად და მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცლებლობის რეჟიმების განსამტკიცებლად. (07.05.2003 N 2145)

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

ა) პროდუქცია – ამ კანონით საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, მომსახურება და ინფორმაცია; (07.05.2003 N 2145)

ბ) ორმაგი დანიშნულების პროდუქცია – პროდუქცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო მიზნისათვის, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული, ქიმიური და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების შექმნისას;

გ) საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნომენკლატურა – საკონტროლო სიები, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ჩამონათვალი, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მათ შორის, ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები, მოწყობილობები, ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და მომსახურება, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი გადატანის საშუალებების შექმნისას; (07.05.2003 N 2145)

დ) უფლებები ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე - საავტორო უფლებები სამეცნიერო ნაშრომზე, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებზე, სამრეწველო საკუთრებაზე, გამოგონებაზე, პროდუქციაზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ წარმოებულ ან კუთვნილ პროდუქციაზე, მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე, მათ შორის შეიარაღებასთან, სამხედრო ტექნიკასთან, ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან, სპეციალურ

აღჭურვილობასთან და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის ტექნოლოგიების სამრეწველო ნიმუშებსა და "ნოუ-ჰაუ"-სთან დაკავშირებულ მომსახურებაზე;

ე) ექსპორტი – საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან პროდუქციის გატანა მის ფარგლებს გარეთ მუდმივი განთავსების ან გამოყენების მიზნით, უცხო პირთათვის მომსახურების გაწევა და უფლებების მინიჭება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკასთან ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან; (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

ვ) რეექსპორტი – საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან მის ფარგლებს გარეთ დამზადებული პროდუქციის ექსპორტი ან უცხო სახელმწიფოს ეკონომიკური ტერიტორიიდან საქართველოში დამზადებული პროდუქციის ექსპორტი მესამე ქვეყანაში; (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

ზ) ტრანზიტი – საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული სახელმწიფო კონტროლით პროდუქციის გადაადგილება; (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

თ) ექსპორტიორი - საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს საქართველოდან;

ი) ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები - მასალები, რომლებიც ასეთად განისაზღვრება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმების მოთხოვნათა შესაბამისად;

კ) საექსპორტო და საიმპორტო კონტროლი – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ კანონით, სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელება და ამ წესების დარღვევის თავიდან აცილება, გამოვლენა და აღკვეთა; (07.05.2003 N 2145)

ლ) მომსახურება - სხვა პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაწეული საქმიანობა.

მ) იმპორტი – უცხო სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე პროდუქციის შემოტანა მუდმივი განთავსების ან გამოყენების მიზნით, მომსახურების გაწევა და უფლებების მინიჭება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკასთან ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

ნ) იმპორტიორი – უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირი,

აგრეთვე, საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს პროდუქციის იმპორტს საქართველოში. (07.05.2003 N 2145)

## მუხლი 2. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელების პრინციპები

საქართველოში საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) მასობრივი განადგურებისა და სხვა სახის იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დაცვა;

ბ) საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელებისას პოლიტიკური ინტერესების პრიორიტეტულობა;

გ) გაუვრცელებლობის რეჟიმების ფარგლებში საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საბოლოო გამოყენების შემოწმება;

დ) საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ საკანონმდებლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

## მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ

საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. (07.05.2003 N 2145)

## თავი II

### საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია (07.05.2003 N 2145)

## მუხლი 4. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს

### დაქვემდებარებული პროდუქცია (07.05.2003 N 2145)

1. ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციას განეკუთვნება: (07.05.2003 N 2145)

ა) ჩვეულებრივი შეიარაღება და ტექნიკა, ნედლეული, მასალები, სპეციალური მოწყობილობები და ტექნოლოგიები, აგრეთვე მათ წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურება;

ბ) ბირთვული მასალები, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, დანადგარები, სპეციალური არაბირთვული მასალები, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მოწყობილობები, ტექნოლოგიები, რადიაქტიული გამოსხივების წყაროები და იზოტოპური პროდუქცია, რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;

გ) ორმაგი დანიშნულების ქიმიკატები და ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმიური იარაღის შექმნისას გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით;

დ) დაავადებათა გამომწვევები, მათი გენეტიკურად შეცვლილი ფორმები და გენეტიკური მასალების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნისას გაუზრცლებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით;

ე) მოწყობილობები, მასალები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება სარაკეტო იარაღის შექმნისას და რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუზრცლებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;

ვ) სამხედრო დანიშნულების პროდუქციასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, მომსახურება და ინტელექტუალური საკუთრების შედეგები;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დადგენილი პროდუქციის სხვა სახეები.

2. ამ მუხლში ჩამოთვლილი პროდუქცია, მისი მესაკუთრის, წარმოშობის ადგილისა და დროის მიუხედავად, ექვემდებარება საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს. (07.05.2003 N 2145)

### თავი III

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილება

საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში

(07.05.2003 N 2145)

მუხლი 5. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებანი

საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში;

ბ) ქმნის და ავითარებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სისტემას;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას წარუდგენს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართაც შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები პორტალის გავლით საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე (იმპორტზე); (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

დ) ახორციელებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის საკანონმდებლო რეგულირებას. (07.05.2003 N 2145)

მუხლი 6. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი

საქართველოს პრეზიდენტი:

ა) გამოსცემს ნორმატიულ აქტებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის მოსაწესრიგებლად და განსახორციელებლად;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ

საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო პროდუქციის და მომსახურების ნუსხას; (11.11.2005 N 2094)

გ) ხელმძღვანელობს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განმახორციელებელი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას;

დ) განსაზღვრავს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში;

ე) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ადგენს რაოდენობრივ შეზღუდვებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე (იმპორტზე);

ვ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიასთან შეთანხმებულ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხას. (22.03.2011 N 4469)

#### მუხლი 7. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებანი

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები:

ა) უზრუნველყოფენ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სახელმწიფო პოლიტიკის უშუალო განხორციელებას;

ბ) შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სისტემის რეალიზებასთან, წესებისა და პროცედურების უნიფიცირებასთან, ახდენენ მათ კორექტირებას;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიასთან ერთად განსაზღვრავენ და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენენ საკონტროლო სიებსა და საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხას; (11.11.2005 N 2094)

დ) სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ამოწმებენ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტს, იმპორტს, რეექსპორტსა და ტრანზიტს;

ე) ახორციელებენ ექსპორტზე (იმპორტზე) განაცხადთა ექსპერტიზას;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში განმცხადებლებს აძლევენ დასკვნებს ექსპორტირებადი (იმპორტირებადი) პროდუქციის იმ კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ, რომელიც ექვემდებარება საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს;

ზ) აღკვეთენ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის უკანონო გადაადგილებას პორტალის გავლით. (12.11.2010. N3806)

ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია, საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი სიის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართაც შეიძლება შემოდებულ იქნეს შეზღუდვები პორტალის გავლით საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე (იმპორტზე). (12.11.2010.

N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

#### თავი IV

### საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელება (07.05.2003 N 2145)

#### მუხლი 8. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლი და მისი განხორციელების წესი

1. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტი (იმპორტი) ხორციელდება მასობრივი განადგურების იარაღის, სხვა სახის იარაღისა და მათი შექმნის ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

2. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, შიდა გადამუშავება და გარე გადამუშავება, დროებითი შემოტანა ან/და გატანა ხორციელდება ნებართვის საფუძველზე, რომელსაც იარაღის, მათ შორის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის, დამზადებასთან, წარმოებასთან და შეკეთებასთან (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით) დაკავშირებულ სამუშაოებზე გასცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (12.11.2010.

N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

3. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტზე ნებართვა საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნული პროდუქცია ამ კანონის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით არის აღნიშნული; ასეთ შემთხვევაში ნებართვის მაძიებელი ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, წარუდგენს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს საექსპორტო და საიმპორტო

კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, შიდა გადამუშავების და გარე გადამუშავების, დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვის მაძიებელი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს საექსპორტო ან საიმპორტო კონტრაქტს. (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

5. ამ კანონის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სტრატეგიული დანიშნულების პროდუქციისა და „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით აღნიშნული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, ტრანზიტის ან რეექსპორტის შემთხვევაში ნებართვის მისაღებად ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შეიცავს მიმღები ქვეყნის ვალდებულებას თავის ტერიტორიაზე ამ პროდუქციის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისა და ექსპორტიორი ქვეყნის თანხმობის გარეშე მისი მესამე ქვეყნისათვის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ. (27.06.2008 N 75 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

6. ამოღებულია (23.06.2006 N3379)

7. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო ნებართვას გასცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც წარუდგენს ამ მუხლის მე-4–მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ასლებს. (11.11.2005 N 2094)

8. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით აღნიშნული პროდუქციისა, ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა გაიცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციის გარეშე. (27.06.2008 N 75 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

8<sup>1</sup>. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების კუთვნილი ან მათთვის განკუთვნილი შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვების გაცემისას შესაბამისი სანებართვო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება. (30.06.2004 N 282)

9. ამ კანონის საფუძველზე გაცემული ნებართვისა და კონტრაქტის დედნებს ნებართვის მფლობელი წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური). (12.11.2010. N3806

ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

10. ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალების, აგრეთვე ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტისას (იმპორტისას) კონტრაქტში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ ამ პროდუქციის საბოლოო გამოყენება.

11. ბირთვული, სპეციალური არაბირთვული მასალების, განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულების, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, რომლებიც საკონტროლო ნუსხებში აღინიშნება ვარსკვლავით, ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლებიც არ ფლობენ ბირთვულ იარაღს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ ქვეყნების უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების თანხმობა იმის შესახებ, რომ მათ მიერ მიღებული საექსპორტო და საიმპორტო პროდუქცია, აგრეთვე მათი გამოყენების შედეგად წარმოებული ბირთვული ან სპეციალური არაბირთვული მასალები, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, დანადგარები, მოწყობილობები:

ა) არ იქნება გამოყენებული ბირთვული იარაღისა და ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების დასამზადებლად ან სხვა სამხედრო მიზნით;

ბ) დაექვემდებარება ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს კონტროლს (გარანტიას) მათი გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში, მიმღებ ქვეყანასა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის გარანტიების შესახებ შეთანხმებების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოფილი იქნება ფიზიკური დაცვის საშუალებებით ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ რეკომენდებული დონის შესაბამისად;

დ) რეექსპორტირებული (ექსპორტირებული) იქნება ან გადის მიმღები ქვეყნის იურისდიქციიდან მხოლოდ ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული პირობებით; ხოლო 20%-ის ზევით გამდიდრებული ურანის, აგრეთვე პლუტონიუმის ან მძიმე წყლის რეექსპორტი შეიძლება მხოლოდ ატომური ენერჯის საკითხებში უფლებამოსილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს წერილობითი თანხმობით.

11<sup>1</sup>. საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ადგენს იმ სახელმწიფოთა ნუსხას, რომლებშიც მოსალოდნელია ბირთვული მასალის ტრანზიტით გადაადგილება და ტრანზიტის ნებართვის გაცემამდე აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას. (11.03.2011. N4423)

12. ნებართვის მისაღებად წარდგენილ ცნობათა უტყუარობაზე პასუხისმგებელია ის პირი, რომელმაც შეიტანა განაცხადი ნებართვის მისაღებად.

13. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოს, რომელმაც გასცა ნებართვა, შეუძლია გააუქმოს ან შეაჩეროს ნებართვის მოქმედება, თუ ექსპორტიორმა (იმპორტიორმა) დაარღვია საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციათა ჩატარების წესი, ასევე „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და

ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეშვიდე თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის უფლებამოსილ ორგანოს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია შეამოწმოს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია.

15. საქართველოს შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, სასწავლო და სამხედრო დანიშნულების დამხმარე ქონების, აგრეთვე მათი შემადგენელი ნაწილების ნიმუშების რემონტის მიზნით პორტალზე გადაადგილება ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის შესახებაც ეცნობება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას. (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

16. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის პორტალის გავლით გატანას აკონტროლებს შემოსავლების სამსახური. (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

#### მუხლი 9. რეექსპორტი და ტრანზიტი

1. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის რეექსპორტი ხორციელდება ამ კანონით ექსპორტისათვის დადგენილი წესით. (07.05.2003 N 2145)

2. პროდუქციის საქართველოდან რეექსპორტი ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით.

3. საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი პროდუქციის რეექსპორტი ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და შეიძლება განხორციელდეს გამომგზავნი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ნებართვის გარეშე. (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

4. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტი, გარდა ისეთი სახის ორმაგი დანიშნულების პროდუქციისა, რომელიც ამ კანონის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით არ არის აღნიშნული, ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით. ნებართვის გაცემის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას. (11.11.2005 N 2094)

5. ისეთი სახის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის შემთხვევაში, რომელიც ამ კანონის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით არ არის აღნიშნული, შემოსავლების სამსახური ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს. (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 10. საქართველოს მონაწილეობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლთან დაკავშირებულ საერთაშორისო სანქციებში

„1. საქართველოს მონაწილეობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლთან დაკავშირებულ საერთაშორისო სანქციებში ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიმართ განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. (07.05.2003 N 2145)

2. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს შეუძლია ცალმხრივი წესით გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

3. ეკონომიკური სანქციების შემოღების შემთხვევაში ექსპორტიორებისათვის (იმპორტიორებისათვის) ზარალის ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. (07.05.2003 N 2145)

მუხლი 11. ექსპორტის შეზღუდვა

1. საქართველოს უფლება აქვს დააწესოს შეზღუდვები, ემზარგოს ჩათვლით, საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე უცხო სახელმწიფოების მიერ საქართველოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილებით, რომელთა წევრიც არის საქართველო.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნული უსაფრთხოებისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ინტერესების შესაბამისად, ამტკიცებს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართაც შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები პორტალის გავლით საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე. (12.11.2010. N3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 12. ინფორმაციის დაცვა

საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ პროდუქციის ექსპორტიორებისაგან (იმპორტიორებისაგან) მიღებული ინფორმაციის დაცვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა

საქართველო მონაწილეობს მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობის რეჟიმების უზრუნველყოფასა და განმტკიცებასთან

დაკავშირებული იმ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც მოქმედებენ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა ორგანიზაციების მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. (07.05.2003 N 2145)

## **თავი V გარდამავალი დებულებანი**

მუხლი 15. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები  
ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებულ იქნეს შემდეგი ნორმატიული აქტები:  
ა) საქართველოს კანონი "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ;"  
ბ) საქართველოს კანონი "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ;"  
გ) საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ - დარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ;"  
დ) საქართველოს კანონი "ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე;"  
ე) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება "საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხის შესახებ."

მუხლი 15<sup>1</sup>. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კუთვნილი შეიარაღების საქართველოდან ექსპორტის სანებართვო მოსაკრებელი (30.06.2004 N 282)  
საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კუთვნილი შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების საქართველოდან ექსპორტის თაობაზე ნებართვების გაცემისას შესაბამისი სანებართვო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

## **თავი VI დასკვნითი დებულება**

მუხლი 16. კანონის ამოქმედება  
ეს კანონი ამოქმედდეს 1998 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

*ედუარდ შევარდნაძე.*

თბილისი,  
1998 წლის 28 აპრილი.  
N 1351 - II ს